

საიას მოსაზრებები „გარემოსდაცვითი
შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის
შესახებ“ კანონპროექტზე

საიას მოსაზრებები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე

სამოქალაქო საზოგადოებისთვის სრულიად მოულოდნელად 2021 წლის 27 დეკემბერს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ მოითხოვა შეფასების კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა ყოველგვარი საფუძვლიანი დასაბუთებისა და კონკრეტული საჭიროების გარეშე, რასაც სრულად დაუჭირა მხარი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემაც. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა 2022 წლის 27 იანვარს იწყება, რაც სრულად გამორიცხავს ფართო საზოგადოების ეფექტურ და შინაარსობრივ მონაწილეობასა და ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მსგავსი მიდგომა განსაკუთრებით შემაშფოთებელი და მიუღებელია ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილების მიღების პროცესში, როგორსაც მოცემული კანონპროექტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ითვალისწინებს. საქართველოს კანონის **□□□□□□□□□□** შეფასების კოდექსის **□** დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და სტრატეგიულ დოკუმენტებზე დასკვნის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოდგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. კანონპროექტის მიხედვით კი, იგეგმება ინსტიტუციური ცვლილება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი სრულად უნდა გადავიდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში და სწორედ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის უნდა მოხდეს ამ უფლებამოსილებების სრულად კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებული მიზნები, რომელთა გამოც იგეგმება ეს ცვლილება, არ წარმოადგენს ამგვარი ინსტიტუციური ცვლილებისთვის საკმარის საფუძველს, დაუსაბუთებელია და, შესაბამისად, საია მას უარყოფითად აფასებს.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის ანალოგიური ვერსია მანამდე ინიცირებული იყო საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ. ამ კანონპროექტთან დაკავშირებით 2021 წლის 7 დეკემბერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მიერ სამოქალაქო საზოგადოებასთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც, ასევე, ესწრებოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეც, კომიტეტის თავმჯდომარემ არაერთგზის აღნიშნა, რომ კანონპროექტის არსებული ვერსია წარმოადგენდა სამუშაო ვარიანტს და სამოქალაქო საზოგადოებასთან იგეგმებოდა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რათა დეტალურად მომხდარიყო კანონპროექტის განხილვა, პასუხი გასცემოდა ყველა იმ კითხვასა და საფუძველიან შიშს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდათ და მომხდარიყო იმ არაერთი ხარვეზის აღმოფხვრა, რომელიც კანონპროექტის ამ ვერსიას აქვს. 2021 წლის 27 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე კი ცხადი გახდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება შეცდომაში იყო შეყვანილი და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მიერ სამუშაო შეხვედრებთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოებისთვის მიცემული პირობა არ შესრულდა. პირიქით, სრულიად მოულოდნელად ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კანონპროექტის არსებული ვერსიის მიღება დაჩქარებული წესით უნდა მოხდეს.

მსგავსი მიდგომა ძირს უთხრის სამოქალაქო საზოგადოების ნდობას მიმდინარე პროცესების მიმართ და სრულ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასა და ორჰუსის კონვენციასთან, რომელთა მიხედვითაც, გარანტირებულია საზოგადოების ინფორმირებულობისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პროცესში შინაარსობრივი მონაწილეობის უფლებები.

ინსტიტუციურ ცვლილებასთან ერთად კანონპროექტით, ასევე, შემოთავაზებულია, რომ

